ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ს/კ 30.03.31.031
26 12 2018
JSC ENERGO-PRO GEORGIA

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის
მომსახურების ცენტრის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელს ქალბატონ მირანდა კირთაძეს
მის.: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. 5

ქალბატონო მირანდა,

თქვენი 2018 წლის 12 დეკემბრის №13/68120 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ბაღდათში, სოფელ ვარციხეში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 30.03.31.031) პრივატიზების საკითხს, გაცნობებთ, რომ წერილში მითითებულ ტერიტორიაზე განთავსებულია მოქმედი სატრანსფორმატორო (გამანაწილებელი) პუნქტი და სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს კუთვნილი 10კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი. შესაბამისად, ნაკვეთი ხვდება ელექტროგადამცემი ხაზისა და გამანაწილებელი პუნქტის დაცვის ზონაში, რაც დადგენილია ,,ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით. კერძოდ, აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, 10კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისთვის დადგენილია 10 მეტრიანი დაცვითი ზონა ხაზის ორივე მხარეს განაპირა სადენებიდან, ხოლო სატრანსფორმატორო (გამანაწილებელი) პუნქტისთვის ყრუ კედლებიდან და შემოღობვებიდან პერიმეტრის გასწვრივ - 2 მეტრიანი, ღიობიანი კედლის შემთხვევაში პერიმეტრის გასწვრივ - 4 მეტრიანი დაცვითი ზონა. ასევე, იკრძალება ნებისმიერი ქმედება (მათ შორის შენობა-ნაგებობების მშენებლობა), რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა და ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან მისასვლელი გზების ლიკვიდირება ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის).

ელექტროგადამცემი ქსელის უსაფრთხო და გამართული ექსპლოატაციის მიზნებიდან გამომდინარე, კომპანიისთვის კატეგორიულად მიუღებელია ელ. გადამცემი ხაზისა და სატრანსფორმატორო (გამანაწილებელი) პუნქტის დაცვის ზონაში მოხვედრილი მიწის ფართობის პრივატიზება. შესაბამისად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოებები და წერილში მითითებული უძრავი ქონების განკარგვა განახორციელოთ ელექტროგადამცემი ქსელის დაცვის ზონაში მოხვედრილი მიწის ფართობის გარეშე.

პატივისცემით,

მიხეილ ბოცვაძე
გენერალური დირექტორი

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმი- ქვემო სვანეთის
მომსახურების ცენტრი
შემოსავლის № 13414/04
"27" 12 2018 წ.
ფურცელი

შემსრ: მარიამ ღვინიანიძე/ტელ: 577 35 05 77